

ქ. ლანჩხუთი

31 მაისი. 2013 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ამირან გიგინეიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–დემოკრატიული ლანჩხუთის“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მაკა კვიციანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მომავლის ლანჩხუთის“ თავმჯდომარე, გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რეალური თვითმმართველობა“ თავმჯდომარე, დავით წულაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარე, დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიმიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, მათა კეკელიძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ზენაიშვილი, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შოთა ჩაგუნავა, გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, როლანდ ლაშხია, გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მათა აფხაზავა, გამგეობის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაგალი კუნჭულია, გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა სულაბერიძე და მედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა საკითხი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმდინარეობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ანალიზი განხილვის შესახებ“, რაც გაზიარებულ იქნა ბიუროს წევრების მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი დამატებული საკითხის გათვალისწინებით.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმდინარეობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ანალიზი განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი/

7. სხვადასხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 13, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს სხდომის მოწვევის თარიღზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვროს 2013 წლის 7 ივნისი.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზვიად აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 50-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე. მას მიზანშეწონილად მიაჩნია შემუშავდეს საკრებულოს წლიური სამუშაო გეგმა, ვინაიდან დებულება (რეგლამენტი) არ კრძალავს ზემოთაღნიშნულს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ზვიად აფხაზავას წინადადებამ წლიური სამუშაო გეგმის შემუშავების თაობაზე გამოიწვია ბიუროს წევრთა აზრთა სხვადასხვაობა, რის გამოც სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე 3 – წევრი (დავით წულაძე, ზვიად აფხაზავა, მაკა კვიციანი) წინააღმდეგი 10 წევრი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების სხვა მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა, კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 17/05/2013 წლის N466 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 838408 ლარი, რომელიც უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში. მანვე განმარტა, რომ „აჯანყებული გურულის“ ძეგლის მონტაჟისათვის განსაზღვრულია 1300 ლარი, რომელიც დაემატება გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსებას და ბიუჯეტში მოხდება მუხლიდან მუხლში თანხის გადატანა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ მართალია ზემოთაღნიშნული განკარგულების პროექტი ეხება საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, მაგრამ ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს მუნიციპალიტეტის სიმბოლიკების შემუშავებასა და დამზადებასთან დაკავშირებული თანხების ბიუჯეტში გათვალისწინებაც.

ზვიად აფხაზავას მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარემ, დავით წულაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიგინეიშვილი დაადანაშაულა თვითმმართველობის მომქმედი პროექტის შემუშავებაში, რომელიც მისთვის სრულიად მიუღებელია და აღნიშნა, რომ ვინაიდან უახლოეს მომავალში თვითმმართველობა გადადის საქმიანობის ახალ მოდელზე, ამდენად არ არის მიზანშეწონილი არსებულის ფორმით სიმბოლიკების შემუშავებაზე თანხის დახარჯვა, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ იგი უშაულოდ არ მონაწილეობდა თვითმმართველობის მომქმედი პროექტის შემუშავებაში, ამჟამად ჩართულია თვითმმართველობის ახალი მოდელი პროექტის შემუშავებაში, რის გამოც ევროპული რეგიონული პოლიტიკის გამოცდილების გაზიარების, ევროკომისიის რეგიონალური პოლიტიკის გაცნობის და ადგილზე დაკვირვების მიზნით იმყოფებოდა იტალიაში.

ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარემ, დავით წულაძემ მისთვის ჩვეული სტილით კვლავ გააპროტესტა საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლად საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, როლანდ ლაშხიას განსაზღვრა და კატეგორიულად მოითხოვა საბიუჯეტო ცვლილებების მომხსენებლად გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის დამტკიცება, რაზედაც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა უპასუხა, რომ ვინაიდან საკითხი ეხება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, ამდენად არ არის აკრძალული საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი, ხოლო მომდევნო ბიუროს სხდომაზე ძირითადი საკითხის განხილვის დროს იქნება გადაწვეტილი მომხსენებელი საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა, კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი ერთი- დავით წულაძე.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 838408 ლარი. დამტკიცებული ობიექტები დაჯგუფებული იქნა კლასიფიკატორის კოდების შესაბამისად. დაჯგუფების შედეგად მიღებული შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულებები ასახულია სპეციალურ ფორმაში. განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, თვითმმართველ ერთეულებს უფლება მიეცათ სოფლის პროგრამებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, სოფლის პროგრამით განსახორციელებელი თითოეული პროექტის შესრულების სურვილს გამოთქვამს რამდენიმე დაინტერესებული პირი, ხოლო მათგან კონკრეტული შემსრულებლის შერჩევა სირთულეს წარმოადგენს, ამასთან, საზოგადოებაში გაჩნდება ეჭვი მუნიციპალიტეტის მიერ შემსრულებლების ტენდენციურად და მიკერძოებით შერჩევის თაობაზე, რაც სოფლის პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი არ გამოიწვევს სათანადო ეფექტს. ტენდერის ჩატარებით აგრეთვე შესაძლებელია მიღებული იქნას გარკვეული ეკონომია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოდის წინადადებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ობიექტები შესყიდული იქნას ტენდერის ფორმით.

წარმოდგენილმა განკარგულების პროექტმა გამოიწვია ბიუროს წევრთა აზრთა სხვადასხვაობა, ვინაიდან შესყიდვების ზოგიერთი ფორმით განხორციელების დროს იკარგება დ.დ.გ. შემოსავალი 20%, რაც შეიძლება მოხმარდეს ტერიტორიულ ერთეულებს.

გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, ვახტანგ ზენაიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ობიექტების შესყიდვის ყველა ფორმას აქვს თავისი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი არგუმენტები. გამგეობა მხარს უჭერს

ტენდერის ფორმას, რაც ხელს შეუწყობს ტერიტორიული ერთეულებში მოსახლეობის დასაქმებას.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარეს, მკაკა კვიციანიას მიზანშეწონილად მიაჩნია სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში ობიექტების შესყიდვა განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ საკითხის გადაწყვეტა არ ხდება ბიუროზე, უნდა მოხდეს მისი განხილვა ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე და საკრებულოს ფრაქციებზე, რომლებიც შეიძლება იყოს ღია და ყველა მსურველს ექნება მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

განკარგულების პროექტებთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „მომავლის ლანჩხუთი“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მაჟორიტარი“, „თვითმმართველობა განვითარებისთვის“, „რეალური თვითმმართველობისთვის“, „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ და „ქართული ოცნება დემოკრატიული ლანჩხუთი“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მია აფხაზავა.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის , „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულებისა და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N47 ბრძანებულების შესაბამისად უნდა დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულება, რომლის შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს

ადმინისტრაციული საქმის წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

ბიუროს წევრთა ერთი ჯგუფის მიერ დაისვა საკითხი კანდიდატის განათლების ცენზის განსაზღვრის თაობაზე, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ კონკურში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რის გამოც დებულება არ ითვალისწინებს განათლების ცენზის კონკრეტულ განსაზღვრას. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება საკრებულოს დადგენილებით საკონკურო-საატესტაციო კომისიის წინადადების საფუძველზე.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ჩაგუნავა.

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურში შექმნილია ზედამხედველობის განყოფილება, ამდენად ცვლილების მიზანია გაზიარებულ იქნას სამხარეო ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის შენიშვნა და შიდა აუდიტის სამსახურს ეწოდოს შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახური.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შესაბამისი დადგენილების მისაღებად, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმდინარეობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ანალიზი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო დაეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 3 ივლისის № 123 ბრძანების შესაბამისად საფინანსო სამსახურის შიდა აუდიტორული განყოფილების მიერ გაანალიზებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმდინარეობა. აღნიშნულ იურიდიულ პირებში ანალიზი მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

ა) იურიდიული პირების ნაშთისა და საკუთარი შემოსავლების დადგენა 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იურიდიული პირებისათვის ჩარიცხული თანხების ხარჯვის ანალიზი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;

გ) იურიდიული პირების მიერ შესყიდვის გეგმის დამტკიცებისა და შესყიდვების სააგენტოში წარდგენის მდგომარეობის შესწავლა 2013 წლის 1 იანვრისათვის, ასევე მისი ფაქტიურ ხარჯებთან შედარების ანალიზი;

დ) ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების გეგმის მაჩვენებლების შედარება ფაქტიურ ხარჯებთან. ასევე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი საბუთების წარმოების ანალიზი;

ე) არაფინანსური აქტივების ზრდის ან/და შემცირების შემთხვევაში შემოსავალში აღებისა და პირველადი საბუთების შედგენის მდგომარეობის ანალიზი;

ვ) იურიდიული პირების ფაქტიური ნაშთის დადგენა 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

აღნიშნული ბრძანების შესაბამისად გაანალიზდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.(ა).პ ების სახსრების ხარჯვა.

ანალიზის პერიოდში დეტალურად არის შესწავლილი წლის დასაწყისისთვის თუ რა ნაშთები იყო იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებზე, რა თანხების მოძრაობა ხდებოდა წლის განმავლობაში, როგორ გაიხარჯა ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები და 1 იანვრის მდგომარეობით დადგინდა იურიდიული პირების ფაქტიური ნაშთები. ანალიზის პერიოდში გამოვლინდა, რომ ხარვეზებით იყო ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვა და სრულყოფილად არ იყო ნაწარმოები ბუღალტრული გატარებები. ხელშეკრულებები მომწოდებლებთან გაფორმებულია არასრულყოფილად, რიგ შემთხვევებში დარღვეულია ვადები. წლიური ხარჯთაღრიცხვის მუხლები ზოგიერთ შემთხვევაში თვეების განმავლობაში გადახარჯულია, თუმცა წელთან მიმართებაში მსგავს ფაქტებს ადგილი არა აქვს. შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცებამდე ადგილი აქვს ხელშეკრულებების გაფორმებას მომსახურებაზე. მანვე აღნიშნა, რომ კომისიათა გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის შიდა აუდიტორული განყოფილების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შემოწმების მასალები მიღებულ იქნას ცნობად.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალა მიეცეთ მითითება ა.(ა).ი.პ.-ების ხელმძღვანელებსა და ბუღალტრებს და დაევალოთ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან სამსახურეობრივ ბარათში გამოვლენილი ხარვეზები.
3. საკითხი განსახილველად შეტანილ იქნას მ/წ 31 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმდინარეობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ანალიზი მიღებულ იქნას ცნობად.
- 2) მიეცეს მითითება ანალიზში მოყვანილ იურიდიული პირების ხელმძღვანელებს უმოკლეს დროში აღმოფხვრან და გამოასწორონ მითითებული ხარვეზები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა, კენჭი უყარა აღნიშნულ

საკითხს:

მომხრე 13 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ გააკეთა განცხადება, რომ საკრებულოს წევრი ზორბეგ ხუბუნაიშვილი ტოვებს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და აქვს სურვილი გაწევრიანდეს ფრაქცია „რეალურ თვითმმართველობაში“

2. გამგებლის თანაშემწემ სოფლის მეურნეობის საკითხებში ნუგზარ ცინცაძემ გააკეთა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის შესაბამისად მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობით მიღებულია 12493 კომბინირებული და 13606 ნომინალური ბარათები, რომლებიც ჩაბარებულია მიწათმოსარგებლეებზე. ბარათის მიღების გარეშე დარჩენილია 750 ბენეფიციარი, რომლებიც იმყოფებოდნენ პრობლემურ სიებში. ამჟამად მთლიანად მოხსულია 4626 ჰა მიწის ფართობი, დადისკულია 2505 ჰა, დათესილია 1864 ჰა. არასახარბიელო მდგომარეობაა აცანის, ჩიბათის და ჯურუყვეთის ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების დონე შეადგენს შესაბამისად 6%, 13% და 18% მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტის საერთო მაჩვენებელი დახვნაში 96%-ია, დადისკვაში - 52% და დათესვაში - 39%. მუნიციპალიტეტის ახორციელებს მიზანმიმართულ მუშაობას ხვნა-თესვის კომპანიის დაჩქარებისა და არახესაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეული ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის.

საკრებულოს ბიურომ მიზანშეწონილად მიიჩნია გამგეობამ გაატარო შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის შესრულებისათვის.

3. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული ლანჩხუთის“ თავმჯდომარემ, მარინე თურნავამ აღნიშნა, რომ მ/წ 29 მაისის საკრებულოს თავმჯდომარის, ამირან გიგინეიშვილის მიერ გამართულ ბრიფინგზე, რომელიც შემდეგ ხმაურიან პრესკონფერენციაში გადაიზარდა, სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად სამუშაო საათებში აქტიურად მონაწილეობდა გამგებლის ერთ-ერთი თანაშემწე, ერთ-ერთი განყოფილების უფროსი, ერთ-ერთი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანაშემწე

და სხვა საჯარო მოხელეები, რომლებიც, როგორც გამოიკვეთა იმართებოდნენ გარე ძალებით და მათ ხელი შეუშალეს ბრიფინგის მიზნობრივ მსვლელობას.

მან მოითხოვა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ვახტანგ ზენაიშვილისაგან საკითხში გარკვევა და სათანადო ღონისძიებების გატარება.

ვახტან ზენაიშვილმა განმარტა, თუ მარინე თურნავა არ დააკონკრეტებდა ბრიფინგის ჩატარების ხელისშემშლელ საჯარო მოხელეთა ვინაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას საკითხის გარკვევაში. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს პროცესები არ მოდის პოლიტიკური პარტიებიდან და გამგეობიდან.

4. ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარემ, დავით წულაძემ დააყენა წინადადება ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებისა და სპეციალიტების პრემირების თაობაზე, ვინაიდან მათ დიდი შრომა გასწიეს საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის შესაბამისად მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებისათვის, რაც გაზიარებულ იქნა ბიუროს წევრების მიერ.

დეპუტატ დავით წულაძის მიერ დაყენებულ წინადადებასთან დაკავშირებით ბიურომ დაავალა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ვახტან ზენაიშვილს ბიუჯეტში სათანადო თანხების მოძიება და დასკვნის წარმოდგენა.

5. ფრაქცია „მომავლის ლანჩხუთის“ თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ ითხოვა ფინანსური დახმარება დამსახურებულ პედაგოგ, ეთერი ჭყონიას დაკრძალვასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ეთერ ჭყონიას ჰქონდა 65 წლიანი პედაგოგიური სტაჟი, ოჯახში ჰყავს მხოლოდ მცირე ხელფასიანი რძალი, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა განუმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთჯერადი დახმარება სათანადო საბუთების წამოდგენის საფუძველზე და დაავალა გამგეობას კომპეტენციის ფარგლებში საკითხის გადაწყვეტა.

6. ინფარსტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ წილოსანმა აღნიშნა, რომ გამგეობის ახლადშექმნილ სამსახურის ხელმძღვანელებსა და ბიუროს წევრებს შორის ჯერ-ჯერობით არ არის დამყარებული ნორმალური საქმიანი ურთიერთობა და ადგილი აქვს სამსახურის ხელმძღვანელების მიერ საკითხებზე პასუხების გაუცემლობის შემთხვევებსაც, რაზეც ვახტან ზენაიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკრებულო და გამგეობა უნდა მუშაობდეს ურთიერთშეთანხმებულად, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ საკრებულო გამგეობას მეგობრულად ჩააყენებს საქმისკურსში, შესაძლოა რომელიმე ახლადშექმნილმა სამსახურის ხელმძღვანელმა დაუშვას არამიზნობრივი შეცდომა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საკრებულოს და გამგეობამ დაუყონებლივ აღმოფხვრან სამსახურეობრივ ურთიერთობებში წარმოქმნილი ხარვეზები

ბიუროს წევრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს საკრებულოს თავმჯდომარის ამირან გიგინეიშვილის მიერ მ/წ 29 მაისს მოწვეულ ბრიფინგზე დეპუტატ დავით წულაძის მიერ საკრებულოს მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელი სიტყვების („ბალაგანი-ბარდაგი“) თაობაზე. ბიუროზე გაირკვა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მან ბოდიში მოიხადა და განმარტა, რომ ეს სიტყვები არ ეკუთვნოდა საკრებულოს ყველა წევრს.

ფრაქციის თავმჯდომარეები: მაკა კვიციანი და დავით წულაძე ჩვეული სტილით ხელს უშლიდნენ ბიუროს სხდომის ნორმალურად ჩატარებას, ეკამათებოდნენ ყველას და ყველაფერს არაფრის გამო, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარისაგან მიიღეს შენიშვნები. დეპუტატი დავით წულაძე სხვა საკითხებთან ერთად კვლავ გამოთქვამდა უკმაყოფილებას

და აღნიშნავდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე უნდა იყოს თვითონ და არა ამირან გიგინეიშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დაევალოს აღნიშნულ კომისიებსა და ფრაქციებს 2013 წლის 7 ივნისამდე განიხილონ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი და საკრებულოს ბიუროს წარმოუდგინონ შესაბამისი დასკვნები.

2. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე თანამომხსენებლებად განისაზღვროს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისათვის განსაზღვრული ძირითადი კომისიის თავმჯდომარეები.

3. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნინო ძიძიგური) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის, დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან გიგინეიშვილი

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნინო ძიძიგური

თანაშემწე:

დონარა დოლიძე

საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების
განყოფილების უფროსი

მაია კეკელიძე